





„ეტალონის“ შემოქმედებითი ჯგუფი ხარკაულელ „ეტალონ მოსწავლეს“ სკოლაში ესტუმრა



4 ნოემბერს ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ ავტორი გოჩა ტყეშელაშვილი და ხარკაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე მარელების საჯარო სკოლას ეწვივნენ და ხარკაულელ „ეტალონ მოსწავლეს“, ამავე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეს მარიამ ფცქიალაძეს გამარჯვება ერთხელ კიდევ ადგილზე მიულოცეს.

გაანჩიათ იყოს დაფასებული. ხარკაულში ინტელექტუალური საზოგადოების ნაკლებობა არასდროს ყოფილა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში მარიამი წარმატებული სტუდენტი იქნება და ასევე ექნება წარმატებული კარიერა - აღნიშნა დავით კიკნაძემ და აქვე დასძინა, რომ რომ მომავალ წელს რემონტი ჩაუტარდება მარელების დაწყებით სკოლის შენობას, ხოლო საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი მთლიანად რეაბილიტირდება.

ოჯახად შეკრული ხალხი ცხოვრობს, სადაც ერთმანეთის წარმატება უხარიათ - განაცხადა გოჩა ტყეშელაშვილმა. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ვერა ოდიკაძემ, მარიამს ხატები, ნიგნები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. „ხარკაულის 26 სკოლას შორის მარიამმა მოიპოვა ეტალონი მოსწავლის ტიტული. მისთვის ეს პირველი წარმატება არ არის. ის ყველა სფეროში ძალიან ნიჭიერია. ძალიან მიხარია, რომ დღეს „ეტალონის“ წარმომადგენლები სკოლაში გვეწვიენ და ერთხელ კიდევ მოგვცეს საშუალება მთელ სკოლას აგვეღნიშნა მარიამის გამარჯვება. მინდა დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც დიდ ინტერესს აკლავს იმ მიმართულებით, რომ განათლება, კულტურა და სპორტებზე ხარკაულში იყოს განვითარებული.“ აღნიშნა ვერა ოდიკაძემ.

ღია ესტრადის რეაბილიტაცია ნოემბრის შუა რიცხვებში დასრულდება



30 ოქტომბერს დაბა ხარკაულის პარკში ღია ესტრადის რეაბილიტაციის მიმდინარე სამუშაოები, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ დავით დევედარიანმა და გამგეობის ზედამხედველობისა და

არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, არჩილ ლურსმანაშვილმა მოინახულეს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულება 449 999 ლარია. ღია ესტრადაზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰესპია მური“ ასრულებს. კომპანიას 12 ადგილობრივი ჰყავს დასაქმებული. როგორც გამგებლის მოადგილემ, დავით დევედარიანმა, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ამ ეტაპზე ღია ესტრადაზე იატაკის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ესტრადაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პანდუსი მოეწყობა. ღია ესტრადის რეაბილიტაცია ნოემბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

სკოლამდელი დაწესებულებების გახსნა სოფელ ზვარეში ნოემბრის ბოლოს იგეგმება

29 ოქტომბერს ხარკაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორმა ირმა სებისკვერაცემ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა სოფელი ზვარის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს. ხარკაულის მუნიციპალიტეტში 13 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. აქედან ბოლო სამი წლის განმავლობაში 7 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. მათ შორის ისეთ მალაქთან სოფლებში სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება აქამდე არასოდეს ყოფილა. თვის ბოლომდე ახალი საბავშვო ბაღი ზვარეში გაიხსნება. აუამად იქ ყოფილი საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. შიდა სარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. კეთილმოსაწყობია ბაღის ეზო.

რდელზეა გათვლილი. სარემონტო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. სკოლამდელი დაწესებულებების გახსნა სოფელ ზვარეში ნოემბრის ბოლოს იგეგმება. ირმა სებისკვერაცემ - ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი: „ზვარის საბავშვო ბაღი ხარკაულის მუნიციპალიტეტისათვის მეთოთხმეტე იქნება. ბაღი დაკომპლექტდება 29 აღსაზრდელითა და 8 სამშატო ერთეულით. ბაღის შენობა თითქმის მზადყოფნაშია, შესატანი დაგვრჩა ინვენტარის რამდენიმე დასახელება და ვემზადებით გახსნისათვის.“ „გრძელდება დამატებითი სამუშაოები ახალი ბაღების ასაშენებლად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში იმ ბაღების რეაბილიტაციისათვის, სადაც ამის შესაძლებლობა გვაქვს. მორიგი რეაბილიტაცია მოხდა სოფელ ზვარის საბავშვო ბაღში. ვფიქრობ, ყოველივე მოსახლეობის

კეთილდღეობაზე დადებითად იმოქმედებს, მშობლები დაცულად გრძნობენ თავს, როდესაც ბავშვები სკოლამდელ დაწესებულებაში არიან. რაც მთავარია, ბავშვები სასკოლო პერიოდისათვის ემზადებიან და ბევრ სიკეთეს იღებენ დაწყებული კარგი კვებით, დასრულებული პროფესიონალი მასწავლებლებითა და აღზრდელელებით, რომლებიც ემსახურებიან ბავშვების განვითარებას. კარგად მუშაობს ბაღების გაერთიანების დირექტორი, ქალბატონი ირმა სებისკვერაცემ, თავის გუნდთან ერთად. ვფიქრობ, ადგილობრივი თვითმმართველობა შეეძლებს, რომ კიდევ ბევრი სიკეთე გაუქეთოს ხარკაულს“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

ზვარის საბავშვო ბაღი 25 აღსაზრდელს შეეძლებს განათლებას.

ვარძის დედაღვთისას ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე ბეტონი დაიგება



ხარკაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარძის მოსახლეობამ სოფელში გამართულ კრებაზე, 2016 წელს „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებზე ისაუბრა. მოსახლეობამ რამდენიმე პრიორიტეტი გამოყო. ვარძისთვის განკუთვნილი თანხით სოფლის დედაღვთისას ტაძრამდე (რომელიც XII საუკუნით თარიღდება) მისასვლელ გზაზე ბეტონი დაიგება. 80 მეტრი სიგრძის გზა ამჟამად ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ვარძის დედაღვთისას ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ძეგლია ხარკაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ტაძარს ხშირად სტუმრობენ ტურისტები და დედაღვთისობის დღესასწაულზე, რომელიც ასევე ტაძრის დღესასწაულიცაა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან უამრავი ხალხი ჩამოდის. ზემოთ აღნიშნული დღესასწაული სოფელში აღდგომიდან მესამე კვირას იმართება. ამიტომ აქაური მოსახლეობა თვლის, რომ ამ ეკლესიამდე მისასვლელ

ლი გზა სრულფასოვნად უნდა იყოს მოწესრიგებული. თანხა გამოიყოფა ასევე ვარძის საბავშვო ბაღისთვის შემის სათავსოს მოსაწყობად. მოსახლეობისთვის ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს სოფელ კიციხიდან ვარძისში შესასვლელი ხიდის რეაბილიტაცია. სოფლის კრებაზე პრიორიტეტი მიენიჭა სოფელ ხიდრისა და ვარძის საერთო სასაფლაოს კაპიტალურ შეკეთებას. ვარძისში მე-5 უბანში შიდა საუბნო გზა ძალიან მოსაწესრიგებელია, სოფლის პროექტებით გამოყოფილი თანხით ამ გზის შეკეთებაზეც იზრუნებენ. მოხდება ასევე სოფლის ე.წ. „კვერცხენაის წყაროსთან“ ცხაურის მოწყობა, რის შემდეგაც აღარ მოხდება სასმელი წყლისა და წყაროს მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება. მიმდინარე 2015 წელს ვარძისში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში 23 000 ლარი დაიხარჯა. თქვა ბერიძე

2015 წლიდან „ღელვანობა“ აღინიშნება

24 ოქტომბერს ხარკაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვანში, „ღელვანობა“ წელს პირველად აღინიშნა. ღონისძიებას ორგანიზატორობას დეპუტატი ჯამბულ გამცემლიძე, გამგებლის წარმომადგენელი ლეღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში პაატა ბურჯანაძე, ლეღვანის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი ჯემსი ვეფხვაძე და თამაზ მალრაძე უწევდნენ. „ღელვანობის“ აღსანიშნავად შეკრებილ მოსახლეობას ბატონმა ჯემსი ვეფხვაძემ სოფლის მოკლე ისტორია უამბო. ამის შემდეგ შეკრებილებმა სოფელი ლეღვანის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრები მოილოცეს. აღსანიშნავია, რომ სოფლის დღესასწაული წელს პირველად გაიმართა. მომავალ წელს „ღელვანობა“ 28 აგვისტოს - მარიამობის დღესასწაულზე აღინიშნება.



თამარ მაღრაძე

შემოდგომის ზეიმი ხარკაულის N1 ბაგა ბაღში

5 ნოემბერს ხარკაულის N1 ბაგა-ბაღში „შემოდგომის ზეიმი“ გაიმართა. წელიწადის ეს ღია ღონისძიება, მათი აღზრდელეებისა და მშობლების დახმარებით წარმოადგინეს. ულამაზესი დეკორაცია ნამდვილად საზეიმო განწყობას ქმნიდა. ტრადიციულ იმერულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ბავშვებმა და მათმა აღზრდელეებმა მრავალფეროვანი აქტივობები ბაღის ეზოში წარმოადგინეს, სადაც ნამდვილი იმერული სამზარეულო იყო გაჩაღებული. სპეციალურად მოწყობილი ფაცხები სავესტო იყო უზვი ხილის კალათებით. დანთებული იყო თონე, ყველა კუთხეში თათარა მზადდებოდა. გამზადებული იყო საჩურჩხელე მასალაც. პატარებმა სამშობლოსთან და შემოდგომასთან დაკავშირებული სიმღერები შეასრულეს და ლექსები წარმოასთქვეს.

ზეიმის დასასრულს ბავშვებმა მასწავლებლებთან და შეკრებილ სტუმრებთან ერთად ჩურჩხელები ამოავლეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

თქვა ბერიძე მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში



